ევროკავშირი საქართველოსთვის
EU4Youth

CENN
Shaping the Future by Changing Today

# EU4YOUTH: საზღვრისპირა მუნიციპალიტეტებში სოციალური მეწარმეობის ეკოსისტემის განვითარება (SEED) მწვანე ზრდისთვის

ევროკავშირის მხარდაჭერით, ხელს ვუწყობთ სოციალური მეწარმეობისა და მწვანე ინოვაციების ეკოსისტემის განვითარებას მდგრადი და ინკლუზიური მომავლისათვის

Green lane

KRDF
კახეთის რეგიონული განვითარების ფონდი
KAKHETI REGIONAL DEVELOPMENT FOUNDATION

# პროექტის მოკლე აღწერა

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის "საზღვირსპირა მუნიციპალიტეტებში სოციალური მეწარმეობის ეკოსისტემის განვითარება (SEED) მწვანე ზრდისთვის", რომელსაც ახორციელებს CENN პარტნიორ ორგანიზაციებთან - Green Lane (სომხეთი) და KRDF (საქართველო), ერთად უმთავრესი მიზანია, შექმნას ხელსაყრელი გარემო პირობები სოციალური მეწარმეობისა და მწვანე ინოვაციების განვითარებისათვის საქართველოსა (გორი, ახმეტა, ნინოწმინდა) და სომხეთის (ლორი, თავუში, შირაკი) საზღვრისპირა რეგიონებში. პროექტის ამოცანაა, აღმოაჩინოს სამეწარმეო პოტენციალი მოწყვლად მუნიციპალიტეტებში და ხელი შეუწყოს ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარებას მეწარმეობის მიმართულებით. პროექტი ითვალისწინებს მწვანე სამეწარმეო იდეების აღმოჩენას, მათი განვითარების ხელშეწყობასა და პრაქტიკული განხორციელების მხარდაჭერას. მოწყვლადი ჯგუფების გაძლიერება, ახალგაზრდების დასაქმების გაზრდა და მწვანე მეწარმეობით გარემოსთან დაკავშირებული გამოწვევების გამკლავება პროექტის ძირითადი კომპონენტებია.

### პროექტის სამიზნე ჯგუფებია:

- ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება სომხეთსა და საქართველოში;
- NEETs ახალგაზრდები განათლების, დასაქმებისა და ტრენინგების გარეშე (30.8%);
- ქალები, ახალგაზრდა გოგონები;
- იძულებით გადაადგილებული პირები (~2,000), ეკომიგრანტები, სოციალური საწარმოები, საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- ახალგაზრდები (15-29 წლის);
- მოწყვლადი ჯგუფები.

# პროექტის ძირითადი საქმიანობები

**1. სოციალური მეწარმეობის განვითარებისათვის პოლიტიკური დიალოგის წარმოებისა და ხელსაყრელი გარემოს შექმნის მიზნით ადგილობრივი, ეროვნული და ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ჩამოყალიბება და განვითარება.**

***1.1*** *დაინტერესებული მხარეების მობილიზაცია, სოციალური მეწარმეობისა და მწვანე ინოვაციების სფეროში დაინტერესებული მხარეების პლატფორმებისა (კავკასიის, ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე) და ეფექტიანი კოორდინაციისა და თანამშრომლობის მექანიზმების შექმნა.*

ღონისძიება მოიცავს დაინტერესებული მხარეების მობილიზაციას და ***სოციალური მეწარმეობისა და მწვანე ინოვაციების სფეროში დაინტერესებული მხარეების რეგიონული, ეროვნული და სუბ-ეროვნული პლატფორმების ჩამოყალიბებას.*** პლატფორმებს ექნებათ ერთი მიზანი - სოციალური მეწარმეობისა და მწვანე ინოვაციების, როგორც ახალგაზრდების დასაქმებისა და მუშაობაში ჩართვის საშუალების ხელშეწყობა. მრავლობითი დაინტერესებული მხარის პლატფორმების ფარგლებში სოციალური მეწარმეობისა და მწვანე ინოვაციების მხარდამჭერ ინკლუზიურ დიალოგში და საქართველოსა და სომხეთში მათი განვითარების პრიორიტეტული საკითხების გამოვლენაში მონაწილეობას ორივე ქვეყნიდან, დაახლოებით, 200 ადამიანი მიიღებს.

***1.2*** *ეროვნული მარეგულირებელი არსებული ჩარჩოების ანალიზი და საქართველოსა და სომხეთში სოციალური მეწარმეობის განვითარებისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნის რეკომენდაციების მომზადება.*

ღონისძიება მოიცავს სოციალური მეწარმეობისა და მწვანე ინოვაციების ხელშეწყობის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და საქართველოსა და სომხეთის შესაბამისი სტრატეგიული და პოლიტიკური დოკუმენტების შესწავლას. საქართველოსა და სომხეთში სოციალურ მეწარმეობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო



ჩარჩოების შესწავლის საფუძველზე მომზადდება სოციალური მეწარმეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნასთან დაკავშირებული რეკომენდაციები, საზღვრისპირა მოწყვლად თემებში მცხოვრებ ქალებზე, ახალგაზრდებსა და შესაძლებლობებს მოკლებულ ჯგუფებზე აქცენტით.

***1.3*** *ახალგაზრდული სოციალური მეწარმეობისა და მწვანე ინოვაციების საკითხებზე კავკასიის რეგიონული კონფერენციისა და გამოფენის მოწყობა.*

ღონისძიების ფარგლებში მოეწყობა ახალგაზრდული სოციალური მეწარმეობისა და მწვანე ინოვაციების საკითხებზე კავკასიის რეგიონული კონფერენცია და გამოფენა. გამოფენა უმასპინძლებს სოციალურ ინოვატორებსა და მეწარმეებს საქართველოდან და სომხეთიდან.

## 2. საქართველოსა და სომხეთის სამიზნე რეგიონების სოფლად მცხოვრები და შესაძლებლობებს მოკლებული ახალგაზრდების ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარება სოციალური მეწარმეობისა და მწვანე ინოვაციების სფეროში.

***2.1** სოციალური მეწარმეობის სასწავლო მასალების მომზადება მწვანე ინოვაციებზე აქცენტით;*

***2.2** სასწავლო პროგრამის მომზადება რეგიონული სასწავლო დაწესებულებების გასაძლიერებლად. ელექტრონული სწავლების პლატფორმებზე რეგიონული ახალგაზრდების წვდომის გაუმჯობესება.*

სომხეთისა და საქართველოს იმ რეგიონულ სასწავლო დაწესებულებებთან მჭიდრო თანამშრომლობა, რომლებმაც ახალგაზრდების გასაძლიერებლად საკუთარი გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისა და სტუდენტებისთვის სოციალური მეწარმეობისა და მწვანე ინოვაციების სასწავლო პროგრამის მომზადებისა და დანერგვის სურვილი გამოთქვეს.

***2.3** სოფლად მცხოვრები მოწყვლადი ჯგუფებიდან ახალგაზრდების მობილიზაცია და პოტენციური ახალგაზრდა სოციალური მეწარმეების იდენტიფიცირება.*

სოციალურ მეწარმეობასა და მწვანე ინოვაციებზე სომხეთისა და საქართველოს სამიზნე რეგიონების ახალგაზრდების ცნობიერების დონის ამაღლებისა და პროექტის მიერ შემოთავაზებული შესაძლებლობების შესახებ ახალგაზრდების ინფორმირების მიზნით, სკოლებსა და სხვა სასწავლო დაწესებულებებში საინფორმაციო შეხვედრებს ჩატარება.

***2.4** სამიზნე ჯგუფების ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარება ტრენინგებისა და შესაძლებლობების გაძლიერების ღონისძიებების ჩატარების, მათ შორის, სოციალური მეწარმეობისა და მწვანე ინოვაციების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების გზით.*







1 **სერტიფიკატების გადაცემის ცერემონია, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი**

2 **სერტიფიკატების გადაცემის ცერემონია, ახმეტის მუნიციპალიტეტი**

3 **სერტიფიკატების გადაცემის ცერემონია, გორის მუნიციპალიტეტი**

პროექტის ფარგლებში ჩატარდება პოტენციური სოციალური მეწარმეების შესაძლებლობების გაძლიერებისაკენ მიმართული ღონისძიებები, კერძოდ, თემატური ტრენინგები, კონსულტაციები და სემინარები სოციალური მეწარმეობისა და მწვანე ინოვაციების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გასაცნობად.

***2.5*** *სოციალური ინოვაციების ტრანსსასაზღვრო ბანაკების ორგანიზება გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარების მიზნით.*

პროექტის სამიზნე რეგიონების ახალგაზრდებისათვის მოეწყობა სოციალური და მწვანე ინოვაციების ტრანსსასაზღვრო ბანაკები. სოციალური და მწვანე ინოვაციების ბანაკები ხელს შეუწყობს სომეხი და ქართველი მონაწილეების ერთობლივი ინიციატივების გაჩენას და სფეროში გამოცდილების გაზიარებას.

## 3. საქართველოსა და სომხეთში სოციალური მეწარმეობისა და მწვანე ინიციატივების პილოტური პროექტების განხორციელება; სოციალური მეწარმეობისა და მწვანე ინოვაციების სფეროში ტრანსსასაზღვრო კავშირებისა და თანამშრომლობების ჩამოყალიბება.

***3.1** სოციალური მეწარმეობისა და მწვანე ინოვაციების პილოტური პროექტების განხორციელება შესაძლებლობებს მოკლებული ახალგაზრდებისათვის სოციალური მეწარმეობისა და მწვანე ინიციატივების სარგებლის დემონსტრირების მიზნით.*

აქტივობა ითვალისწინებს სკოლებსა და სასწავლო დაწესებულებებში სოციალური მეწარმეობისა და მწვანე ინოვაციების კუთხით პილოტური პროექტების განხორციელებას, რომლებიც განკუთვნილია სკოლის მოსწავლეებისათვის და სოციალური პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეების აღზრდისა და განათლების ხელშეწყობას ისახავს მიზნად.

***3.2** ახალგაზრდული შესაძლებლობების ფონდის დაარსება და ახალგაზრდა სოციალური ინოვატორებისათვის საწყისი დაფინანსების უზრუნველყოფა საკუთარი იდეების განსახორციელებლად.*

ღონისძიება მოიცავს **სოციალური ინოვაციების კავკასიური კონკურსების** ჩატარებას, ინოვაციური საპროექტო იდეების დასაფინანსებლად **ახალგაზრდული შესაძლებლობების ფონდის** დაარსებას და **ახალგაზრდული სოციალური მეწარმეობის „მწვანე ინკუბატორის“ (GREENcubator) პროგრამის** განხორციელებას.

***3.3** რეგიონული და საერთაშორისო სასწავლო ტურების მოწყობა ქართველი და სომეხი ახალგაზრდებისათვის კავკასიასა და ევროპაში (ავსტრია) სოციალური მეწარმეობის საუკეთესო პრაქტიკის გასაცნობად.*

სასწავლო და გაცვლითი ტურების მონაწილეები იქნებიან სოციალური მეწარმეობის კონკურსის გამარჯვებულები, სოციალური მეწარმეობის ტრენინგების მონაწილეები, ახალგაზრდა ლიდერები, აქტიური ახალგაზრდები და ახალგაზრდა მეწარმეები საქართველოდან და

სომხეთიდან. სასწავლო ტურები სომეხ და ქართველ ახალგაზრდებს სოციალური მეწარმეობის საუკეთესო პრაქტიკის გაცნობისა და შესწავლის შესაძლებლობას მისცემს.

***3.4*** *სოციალური მეწარმეობის და მწვანე ინოვაციების „იდეების ბანკის“ - ციფრული საცავის შექმნა.*

ახალგაზრდა ინოვატორების მიერ იდეების რეგისტრაციის და აგრეთვე პოტენციური დონორების მიერ ამ იდეების დაფინანსების წასახალისებლად შეიქმნება საპროექტო იდეების შესანახი ონლაინ პლატფორმა.

The Entrepreneurs
მეწარმეების ბლოგი Blog

## 4. სოციალური მეწარმეობის შესახებ ინფორმირებულობისა და ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების ჩატარება.

***A 4.1.*** *ინტენსიური საინფორმაციო კამპანიების ჩატარება სოციალური მეწარმეობის კონცეფციის უკეთ გასაგებად მწვანე ინოვაციებსა და ცირკულარულ ეკონომიკაზე აქცენტით;*

***A 4.2.*** *დასაქმების ფორუმების და პროფორიენტაციო ღონისძიებების (JobFest) მოწყობა გოგონებსა და ქალებზე, ახალგაზრდებსა და შესაძლებლობებს მოკლებულ ჯგუფებზე აქცენტით.*

სამუშაო ადგილების ბაზრობებზე ახალგაზრდებს მიეცემათ შესაძლებლობა, შეხვდნენ პოტენციურ დამსაქმებლებს. პროექტის ფარგლებში ჩატარდება სამუშაო ადგილების 4 გამოფენა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ რეგიონებში მცხოვრები, ახალგაზრდები.

> ***A 4.3.*** *პროექტების წარმატებული მაგალითების პოპულარიზაცია ადგილზე გასვლებისა და მედია ტურების ორგანიზების გზით;*
>
> ***A 4.4.*** *ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნა და სოფლად მცხოვრები ახალგაზრდებისათვის, განსაკუთრებით ქალებისა და გოგონებისთვის, ინტერნეტსა და ტექნოლოგიებზე წვდომის უზრუნველყოფა ინოვაციური ცოდნის სასოფლო ჰაბების შექმნის გზით.*

საზღვრისპირა სამიზნე რეგიონების (საქართველოსა და სომხეთში) შესაძლებლობებს მოკლებულ თემებში შეიქნება ინოვაციური ცოდნის 6 ჰაბი. ჰაბებში უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი სივრცე და აღჭურვილობა ახალგაზრდების, განსაკუთრებით, ქალებისა და გოგონების განვითარებისათვის.




**CENN**
ბეთლემის ქ. #27
თბილისი, 0105,
საქართველო
+ 995 32 2 75 19 03 / 04
info@cenn.org
www.cenn.org
www.environment.cenn.org
@ThinkNaturally

დაფინანსებულია ევროკავშირის
პროგრამის EU4Youth ფარგლებში